

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის

ოქმი N 5

ქ. თბილისი

24 აპრილი, 2019 წელი.

**სხდომას ესწრებოდნენ:** ამირხანაშვილი ივანე, ანანიაშვილი იური, ბერულავა გიორგი, გოგიაშვილი ლიანა, ებრალიძე თამარ, ლომინაძე გიორგი, ნადარაია ელიზბარ, ოკრიბელაშვილი ნინო, შალიკაშვილი მორის, შენგელაია ალექსანდრე, ჩიტაშვილი მარინე, ხუციშვილი ქეთევან, ჯობავა თამარ.

**დღის წესრიგი:**

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **ლევანი გელაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **გიორგი ბრეგაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **მაია გიორბელიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **ალექსანდრე შარაშენიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
5. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ევროპისმცოდნეობის“ დოქტორანტ **მერი მალლაკელიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ევროპისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
6. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ევროპისმცოდნეობის“ დოქტორანტ **ლევან მახაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ევროპისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
7. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ევროპისმცოდნეობის“ დოქტორანტ **ირაკლი მეგრელიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ევროპისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
8. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ევროპისმცოდნეობის“ დოქტორანტ **შალვა ხუფენიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ევროპისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
9. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „სამართლის“ დოქტორანტ **მკვა ხოდელის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;



26. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამართლის“ დოქტორანტ **ზაქარია შველიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.

27. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამართლის“ დოქტორანტ **ოთარ მაჩაიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.

28. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კონფლიქტების ანალიზი და მართვა“ დოქტორანტ **ნინო ოხანაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.

29. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ფიზიკა“ დოქტორანტ **ნინო ფონჯავიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ფიზიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **ლევანი გელაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოიმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა კახაბერ ლორიამ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - ფოტოგრაფიულ-ბინოკულარული ნარატივი ქართულ მოდერნისტულ ტექსტებში - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის ყველა წევრი. სადისერტაციო ნაშრომი შეფასდა 98 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** თ. ჯობავამ აღნიშნა, რომ დოქტორანტს “მაცნეში” ჩამოთვლილი აქვს დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული სამი ნაშრომის სათაური, თუმცა არ უთითებს გამოცემების სახელწოდებას. რა სიახლეს შეიცავს დისერტაცია?

**მოისმინეს:** კ. ლორიამ აღნიშნა, რომ სავარაუდოდ ეს ტექნიკური ხარვეზია და დაბეჯითებით შეუძლია თქვას, რომ ნაშრომები აკმაყოფილებს ფაკულტეტის მოთხოვნებს; ასევე ნაშრომები დასკანერებული სახით ატვირთულია ე.წ. „დისერტაციების საცავში“. დისერტაცია კრიტიკული ნაშრომია, ის ინტერდისციპლინური ხასიათისაა.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე, დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ლევანი გელაშვილისთვის** ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **გიორგი ბრეგაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოიმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორმა ელგუჯა მექვაბიშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - ტურიზმის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პრიორიტეტები - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. აღნიშნა, რომ დოქტორანტი მუშაობს ტურიზმის დეპარტამენტში და შესაბამისად, ნაშრომის შესრულებაში მას საკმაოდ დაეხმარა პრაქტიკული გამოცდილება. მან აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი. სადისერტაციო ნაშრომი შეფასდა 90 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** ი. ანანიაშვილმა აღნიშნა, რომ დისერტაცია აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს და დოქტორანტს კარგად აქვს წარმოჩენილი საკვლევი საკითხი.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე, დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **გიორგი ბრეგაძისთვის** ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **მაია გიორბელიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოიმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოც. პროფესორმა თეა მუნჯიშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - ინკლუზიური ბიზნესის სოციალური ზემოქმედების შეფასება საქართველოში - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი. სადისერტაციო ნაშრომი შეფასდა 96 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** ი. ანანიაშვილი დაინტერესდა წარმოდგენილი ნაშრომის ბეჭდურ ვერსიაში მითითებული შენიშვნებით. გაეცა თუ არა პასუხი ამ შენიშვნებს დისერტაციის მსვლელობისას? მან აღნიშნა, რომ ოქმში არაა მითითებული.

**მოისმინეს:** თ. მუნჯიშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტმა დისერტაციის სამეცნიერო დისკუსიისას უპასუხა ყველა დასმულ კითხვას და ასევე რეცენზენტების შენიშვნებს. შეგიძლიათ იხილოთ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ შედგენილი ოქმი.

**აზრი გამოთქვა:** ე. შენგელაია დაინტერესდა, თუ კონკრეტულად რა იკვლია დოქტორანტმა?

**მოსმინეს:** თ. მუნჯიშვილმა აღნიშნა, რომ სოციალურ საწარმოთა მსგავსი ტიპის მასშტაბური კვლევა საქართველოში არ განხორციელებულა და ის მიჩნეულია სიახლედ.

**აზრი გამოთქვა:** მ. შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ იმის გათვალისწინებით, თუ რამდენი სქოლიოა ნაშრომში, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ აშკარად მაღალი შეფასებაა დაწერილი.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა შედეგები: წინააღმდეგი - 1, თავი

შეიკავა - 4, მომხრე - 7; მონაწილეობა არ მიუღია თამარ ებრალიძეს, ვინაიდან კონკრეტული საკითხის განხილვას არ ესწრებოდა.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე, დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **მაია გიორბელიძისთვის** ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **ალექსანდრე შარაშენიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოიძინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანმა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოც. პროფესორმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამალღების სტრატეგია - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. აღნიშნა, რომ დოქტორანტმა თემის წერის პერიოდში 6 თვიანი სტაჟირება გაიარა გერმანიაში, ასევე ეგვიპტეში; მას აქვს ასევე პედაგოგიური გამოცდილება. დაცვას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი. სადისერტაციო ნაშრომი შეფასდა 95 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** ე. ნადარაიამ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი და საინტერესო ნაშრომია. ლ. გოგიაშვილმა აღნიშნა, რომ ავტორეფერატში დასკვნითი ნაწილი საკმაოდ მოკლედაა წარმოდგენილი და სასურველია უფრო ვრცელი ყოფილიყო.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე, დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ალექსანდრე შარაშენიძისთვის** ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ევროპისმცოდნეობის“ დოქტორანტ **მერი მალაქელიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ევროპისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოიძინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა ქეთევან ხუციშვილმა მასაბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - External Europeanization through Conditionality: Explaining Varying Patterns of Policy Change in Eastern Partnership Countries - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის ყველა წევრი. სადისერტაციო ნაშრომი შეფასდა 90 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** ე. ნადარია დაინტერესდა სამეცნიერო ხელმძღვანელის ვინაობით.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა ქეთევან ხუციშვილმა მოახსენა, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო პროფესორი სერგი კაპანაძე.

**აზრი გამოთქვა:** მ. ჩიტაშვილმა აღნიშნა, რომ რეცენზენტი ე. აკობია არის სამეცნიერო ხელმძღვანელის ს. კაპანაძის მეუღლე და რატომ გააკეთეს ასეთი არჩევანი? ეს ფაქტობრივად ინტერესთა კონფლიქტია. სასურველია, ფაკულტეტმა გაითვალისწინოს ეს მოსაზრება სამომავლოდ.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის უფროსმა დ. კანდელაკმა აღნიშნა, რომ თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ირმა გრძელიძემ საბჭოს აპარატს ზეპირსიტყვიერად აცნობა, რომ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ევროპისმცოდნეობის“ ოთხივე დისერტაცია შემოწმდა ანტიპლაგიატის სისტემაში და პლაგიატი არ დასტურდება.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე, დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება მერი მაღლაკელიძისთვის ევროპისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ევროპისმცოდნეობის“ დოქტორანტ ლევან მახაშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ევროპისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოიმიწინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - EU Conflict Management and Mediation in Georgia and Moldova in 2004-2016 – Assessing and Explaining the Performance - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის ყველა წევრი. სადისერტაციო ნაშრომი შეფასდა 89 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** მ. შალიკაშვილი დაინტერესდა დოქტორანტის პროაქტიული საქმიანობით. აქვს თუ არა შეხება მის საქმიანობას საკვლევ საკითხთან?

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ დოქტორანტი ლ. მახაშვილი მუშაობს პრემიერის აპარატში და იკვლევს აღნიშნულ საკითხს.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე, დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება ლევან მახაშვილისთვის ევროპისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ევროპისმცოდნეობის“ დოქტორანტ ირაკლი მეგრელიშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ევროპისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოიმიწინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - Modernization and the Idea of Europe in Georgia - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის ყველა წევრი. სადისერტაციო ნაშრომი შეფასდა 77 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** თ. ჯობავა დაინტერესდა დოქტორანტის პრაქტიკული მოღვაწეობით.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა ქეთევან ხუციშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოს რამდენიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე, დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება ირაკლი მეგრელიშვილისთვის ევროპისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ევროპისმცოდნეობის“ დოქტორანტ შალვა ხუფენიას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ევროპისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოიმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - The Transition Processes from Enemies to Partners and Politics of Cooperation in Western Europe (1945-1957) - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი. სადისერტაციო ნაშრომი შეფასდა 69 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** მ. შალიკაშვილი დაინტერესდა, საქართველოსთან კავშირში თუ არის კვლევა ჩატარებული?

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა ქეთევან ხუციშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო არ განიხილება დისერტაციაში.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე, დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება შალვა ხუფენიასთვის ევროპისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „სამართლის“ დოქტორანტ მავა ხოდელის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოიმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრმა, იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორმა, სამართლის დოქტორმა ბესიკ მეურმიშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის ყველა წევრი. სადისერტაციო ნაშრომი შეფასდა 95 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** ე. ნადარაია დაინტერესდა, რამდენად ღირებულია და გასათვალისწინებელი დოქტორანტის დასკვნები და რეკომენდაციები სახელმწიფოს მიერ?

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრმა ბესიკ მეურმიშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები მეტად ყურადსაღებია და ისინი გაცნობილი იქნება სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურებისათვის.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე, დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **მაკა ხოდელისთვის** სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიოლოგია“ დოქტორანტ **მარიამ ტარასაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „მარსის ხელოვნური გრუნტის ბიორემედიაცია საქართველოს ექსტრემალურ ეკოსისტემებში მოპოვებული ავტოტროფული მიკროორგანიზმების გამოყენებით“).

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიოლოგია“ დოქტორანტ **მარიამ ტარასაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

**რეცენზენტები:**

ა) ზაზა ოსმანოვი - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფიზიკის დოქტორი;

ბ) რუსუდან ურიდია - თსუ პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ბიოლოგიის დოქტორი;

**სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები:**

ა) თეიმურაზ ლეჟავა - თსუ პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

ბ) ნინო ფორაქიშვილი - თსუ პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

გ) ნინო გაჩეჩილაძე - თსუ ასოც. პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი;

დ) მანანა გორდეზიანი - თსუ ასოც. პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი;

ე) ბეჟან თუთბერიძე - თსუ პროფესორი, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

ვ) ალექსანდრე თევზაძე - თსუ ასოც. პროფესორი, მათემატიკის დოქტორი;

ზ) ნინო გაგელიძე - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი, პროკარიოტებისა და საფუვრების ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ბიოლოგიის დოქტორი.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ქიმია“ დოქტორანტ **მანონი კურტანიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ქიმიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოიმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა **ომარ მუკბანიაძემ** საბჭოს მიაწოდა



ინფორმაცია დისერტაციის - შებრუნებული მიკროემულსიების მიკროგარემოს შესწავლა ულტრაიისფერი-ხილული სპექტროსკოპული მეთოდით - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის ყველა წევრი. სადისერტაციო ნაშრომი შეფასდა 97 ქულით. მან აღნიშნა, რომ დოქტორანტს გამოქვეყნებული აქვს 5 შრომა, აქედან - სამი დისერტაციის თემაზე, რომლიდანაც ერთი იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალშია გამოცემული. ზოგადად მას 5 ნაშრომი აქვს დაბეჭდილი იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში.

**აზრი გამოთქვა:** მ. ჩიტაშვილი დაინტერესდა, თუ რამდენი წელი მოუნდა დოქტორანტი დისერტაციის წერას?

**მოისმინეს:** ო. მუხბანიანმა აღნიშნა, რომ ნაშრომი შესრულდა 5 წელში და ამასთანავე დოქტორანტი მუშაობს ლ. სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე, დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება მანონი კურტანიძისთვის ქიმიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ - დოქტორანტ ეკა პაატაშვილის სადისერტაციო ნაშრომის (თემა: „რუტინული იმუნიზაციით მოცვის გაუმჯობესება საქართველოში: ინსტიტუციური ინტერვენციები და რეგულირება“) რეცენზენტები და დაცვის კომისია.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ - დოქტორანტ ეკა პაატაშვილის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

**რეცენზენტები:**

ა) ლევან ბარამიძე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მენეჯმენტის, პოლიტიკის და ეკონომიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

ბ) დავით გელოვანი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

**სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:**

ა) ნინო ჩიხლაძე - თსუ მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის დოქტორი.

ბ) ნატა ყაზახაშვილი - თსუ მედიცინის ფაკულტეტის სრული პროფესორი, მედიცინის დოქტორი.

გ) შოთა ცანავა - თსუ მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის დოქტორი.

დ) ლაშა ლორია - თსუ მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის დოქტორი.

ე) დევი ტაბიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, პროფილაქტიკური მედიცინის აკადემიის აკადემიკოსი, მედიცინის დოქტორი.

ვ) ნინო მირზიკაშვილი - საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტი, მედიცინის დოქტორი.

ზ) ნანა წინაშვილი - საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი, დაავადებათა კონტროლის ცენტრი, მედიცინის დოქტორი.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტის **სოფიკო ლილუაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „დერმატოლოგიური ცხოვრების ხარისხის ინდექსი და პრობლემის დამლევის სტრატეგია ფსორიაზით დაავადებულ პირებში“).

**აზრი გამოთქვეს:** ნ. ოკრიბელაშვილმა და ლ. გოგიაშვილმა აღნიშნეს, რომ ფაკულტეტს ეცნობოს და შესწორდეს დისერტაციის თემის სათაური.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტის **სოფიკო ლილუაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

**რეცენზენტები:**

ა) მანანა სულაბერიძე - მედიცინის დოქტორი, თსუ დერმატო-ვენეროლოგიის კათედრის მოწვეული პედაგოგი, კანისა და ვენსნეულეობათა ს/კ ეროვნული ცენტრის დერმატოლოგიური დეპარტამენტის დერმატო-ვენეროლოგი.

ბ) თამარ ებანოძე - მედიცინის დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტისა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, კანისა და ვენსნეულეობათა ს/კ ეროვნული ცენტრის დერმატოლოგიური დეპარტამენტის დერმატო-ვენეროლოგი, საქართველოს ფსიქოდერმატოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი.

**სათადარიგო რეცენზენტი:**

ა) ელგუჯა ბერაია - მედიცინის დოქტორი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, ექიმი დერმატო-ვენეროლოგი.

**სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:**

ა) გიორგი გალდავა - მედიცინის დოქტორი, თსუ დერმატო-ვენეროლოგიის კათედრის პროფესორი, კანისა და ვენსნეულეობათა ს/კ ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი.

ბ) ნინო ოკრიბელაშვილი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ფსიქიატრიის და სამედიცინო ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, "ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის" დირექტორის მოადგილე.

გ) დავით ზურაბაშვილი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ფსიქიატრიის და სამედიცინო ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, "ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"- გენერალური დირექტორის მოადგილე.

დ) ხათუნა მარწყვიშვილი - ფსიქოლოგიის დოქტორი, თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

ე) გიორგი თვალთაშვილი - მედიცინის დოქტორი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტისა და სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედის“ პროფესორი, კანისა და ვენსნეულეობათა ს/კ ეროვნული ცენტრის დერმატოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

ვ) ოლეგ ქვლივიძე - მედიცინის დოქტორი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პროფესორი, ექიმი დერმატო-ვენეროლოგი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მედიცინის სკოლასთან არსებული იშვიათ დაავადებათა კვლევის ცენტრის დირექტორი

ზ) გიორგი დურგლიშვილი - მედიცინის დოქტორი, სახელმწიფო ეროვნული უნივერსიტეტისა (სეუ) და ევროპის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, კანისა და ვენსნეულეზათა ს/კ ეროვნული ცენტრის ანდროლოგიური დეპარტამენტის დერმატო-ვენეროლოგი.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტის ნატალია ჯანყარაშვილის სადისერტაციო ნაშრომის („სწორი ნაწლავის ადგილობრივად გავრცელებული კიბოს ნეოადიუვანტური მკურნალობის მეთოდების შემუშავება“) რეცენზენტები და დაცვის კომისია.

**აზრი გამოთქვა:** ლ. გოგიაშვილმა და მ. ჩიტაშვილმა აღნიშნეს, რომ რეცენზენტების ცვლილების შემთხვევაში შეირჩეს არა აკადემიკოს ფ. თოდუას სამედიცინო ცენტრის თანამშრომელი.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტის ნატალია ჯანყარაშვილის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

**რეცენზენტები:**

ა) გიორგი წიფვიძაძე – მედიცინის დოქტორი, აკადემიკოს ფ. თოდუას სამედიცინო ცენტრის გენერალური დირექტორი.

ბ) ირაკლი კობრიძე – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, თსსუ-ის ონკოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ონკოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, მედიცინაში აკადემიური დოქტორი.

გ) გიორგი სვანიძე (სათადარიგო) – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსსუ-ის რადიოლოგიის მიმართულების ულტრაბგერითი დეპარტამენტის პროფესორი. აკადემიკოს ფ. თოდუას სამედიცინო ცენტრის ულტრაბგერითი განყოფილების თანამშრომელი.

**სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობა:**

ა) მამუკა გურგენიძე – თსუ სამედიცინო რადიოლოგიის და ენდოსკოპიის კათედრის ასოცირებული პროფესორი, აკ. ფ.თოდუას კლინიკის ენდოსკოპიის მიმართულების სამეცნიერო ხელმძღვანელი.

